

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014-2015 წლებში გაწეული მუშაობის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლაშა გოგიას ანგარიში

2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, 14 ივლისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ახალი შემადგენლობით (45 დეპუტატი) შეუდგა საქმიანობას.

პარტია „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს წარდგინებით დამასახელეს საკრებულოს წევრობის კანდიდატად. ხოლო პირველ სხდომაზე საკრებულოს წევრებმა ნდობა გამომიცხადეს და ხმათა უმრავლესობით გავხდი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

საკრებულოს მუშაობის ორგანიზაცია და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელება ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, ხოლო საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები უნდა შეესაბამებოდეს უპირატესი იურიდიული ძალის მქონე აქტებს. ეს პრინციპი, საკრებულოს, როგორც კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანოს ერთ-ერთი მთავარი პრინციპია.

მე ერთის მხრივ არჩეული ვარ უშუალოდ მოსახლეობის მიერ როგორც საკრებულოს წევრი, ხოლო მეორე მხრივ თავად საკრებულოს მიერ, როგორც საკრებულოს ხელმძღვანელი. სწორედ ეს განაპირობებს ჩემს საქმიანობას, რომლის მთავარი მიმართულება პოლიტიკური პროცესების მართვა, მოსახლეობისა და საკრებულოს უმრავლესობის ინტერესების გათვალისწინება და მიღებული ნდობის გამართლებაა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სხდომაზე, 15 პროპორციულად, ხოლო 30 მაჟორიტარულ ოლქში არჩეული დეპუტატები 5 მუდმივმოქმედ კომისიასა და ფრაქციაში გაერთიანდნენ. ამჟამად საკრებულოში ფუნქციონირებს 7 ფრაქცია.

საკრებულოს უფლებამოსილების ცნობის დღიდან, 2014 წელს ჩატარდა საკრებულოს 15 სხდომა აქედან 8 რიგგარეშე და 6 მორიგი სხდომა(მ/ შ პირველი სხდომა გაგრძელებული), რომლესაც თავად ვთავმჯდომარეობდი, 2015წ დღემდე ჩატარდა 22 სხდომა აქედან მორიგი 10 და რიგგარეშე 12 სხდომა.

2014 წელს საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა 52 დადგენილება, 94 განკარგულება, ჩემს მიერ გამოცემულ იქნა 139 ბრძანება, ხოლო

2015 წელს საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა 32 დადგენილება, 130 განკარგულება, გამოცემულ იქნა 314 ბრძანება;

საკრებულოში განხილვისა და გადაწყვეტილები მიღების მიზნით 2014 წელს შემოვიდა დაახლოებით 352 წერილი, ხოლო 2015 წელს 815. ამათგან ყველაზე გაკეთებულ იქნა რეაგირება, ნაწილი გადაიგზავნა გაგეობაში ან შესაბამის ორგანოებში შემდგომი განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით ან/და განხილულ იქნა საკრებულოს შესაბამის კომისიებზე;

გაცემულ იქნა 59 საჯარო ინფორმაცია;

მინდა სიამაყით აღვნიშნო, რომ ამ პერიოდში საკრებულომ ხალხისთვის ბევრი სასიკეთო ინიციატივა შეიმუშავა, რომელიც აღნიშნულ დადგენილებებსა და განკარგულებებში აისახა.

ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, კოალიცია „ქართული ოცნების“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა ინიციატივით მოხდა საკრებულოს საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა. კერძოდ: უარი ითქვა ისეთ ფუფუნებებზე, როგორცაა ავტომობილების შესყიდვა, ოფისის რემონტი. წარმომადგენლობითი ხარჯებიდან 2014 წელს არც ერთი თეთრი არ გახარჯულა, რაც შეეხება 2015 წელს აქაც მინიმალურად - ლიტვის რესპუბლიკის დამმობილებული ქ. „იონავადან“ სტუმართა გამასპინძლებისათვის გახარჯულ იქნა მხოლოდ 1600 ლარი.

ამ ინიციატივით დავიწყეთ იმ წინასაარჩევნო დაპირების ასრულება, რაც საბიუჯეტო სახსრების დაზოგვით იმ მოსახლეობის სოციალურ დახმარებას გულისხმობს, რომელიც ამას ყველაზე მეტად საჭიროებს.

საკრებულოში ყველა გადაწყვეტილება მიიღება უშუალოდ მოსახლეობის დაკვეთით, მათი ინტერესების გათვალისწინებით. ამისათვის, საკრებულოს რეგლამენტით განისაზღვრა და თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცდა საკრებულოს წევრების და თანამდებობის პირების მიერ მოსახლეობასთან შეხვედრის, მათი მიღების და ანგარიშის წარდგენის გრაფიკები, სადაც დეტალურად არის გაწერილი თუ რომელი დეპუტატი სად და როდის გამართავს შეხვედრას.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო არის ღია და გახსნილი ორგანო, დემოკრატიული პრინციპების მაქსიმალური დაცვით, ვუზრუნველვყოფთ საზოგადოების ინფორმირებას მუნიციპალიტეტში მიმდინარე ყველა პროცესის შესახებ. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რას ფიქრობს ჩვენი ამომრჩეველი, რა შეხედულება აქვთ ამა თუ იმ საკითხზე, გვსურს ყველა განსახორციელებელი პროგრამა შევათანხმოთ მოსახლეობასთან.

საკრებულოს ყველა წევრმა და მათ შორის მეც, საანგარიშო პერიოდში მოვიარეთ თითქმის ყველა სოფელი, უშუალოდ შევხვდით ხალხს და მათგან მოვისმინეთ არსებული პრობლემები. აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად კოორდინირებული მუშაობით და ერთობლივი ძალისხმევით დავიწყეთ ზრუნვა მათ მოგვარებაზე.

მიზნობრივი და კაპიტალური ტრანსფერით დასაფინანსებელი, სამომავლო პროექტების შესახებ საკრებულოში ხშირად იმართებოდა აქტიური მსჯელობები. მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები გასულ წელს და რა თქმა უნდა დღესაც ისმენს და განიხილავს ბიუროს, საკრებულოს რიგითი წევრების მოსაზრებებს. სოფლის მოსახლეობასთან შეთანხმებული პრიორიტეტული საკითხების ფარგლებში კი მომზადდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები. ასევე დაიწყო გარდამავალი პროექტების დასრულება. (იხ. დანართი N1 2015 წ რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსებული - დასრულებული და მიმდინარე პროექტები და სოფლის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე და დასრულებული პროექტების თაობაზე)

ცენტრალური ხელისუფლების ერთ-ერთ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს უფასო ხვნა-თესვის პროგრამის განხორციელება, მცირე ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამა „აწარმოე საქრთველოს“ ფარგლებში. 2016 წელში კი დაგეგმილია სოფლის მეურნეობის აღორძინების კუთხით სხვადასხვა ქმედითი ღონისძიებების გატარება.

როგორც იცით, გასული წლის სექტემბერში ძლიერმა წვიმებმა ზუგდიდის მუნიციპალიტეტს სერიოზული პრობლემები შეუქმნა. განსაკუთრებით დაზარალდა სოფლები აბასთუმანი, ნარაზენი, ყულიშკარი, ჯიხაშკარი, ჯუმი, ჭკადუაში. კალაპოტიდან გადმოსულმა მდინერეებმა დატბორა მიმდებარე ტერიტორიები, დააზიანა საკარმიდამო ფართობები, მოშალა სოფლებთან დამაკავშირებელი ხიდის სათავე. ადგილობრივმა ხელისუფლებამ საგანგებო რეჟიმში ადგილებზე მოახერხეს ვითარების და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების გახორციელება. დღეს უკვე დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი თანხით აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს. აქვე თქვენი ყურადღება მინდა გავამახვილო ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე როგორცაა ონარიის დასახლებაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სრული რეაბილიტაცია, რომელიც ითვალისწინებს ამორტიზირებული სახლებისთვის სახურავის შეცვლას, ავარიული აივნების დემონტაჟს და ხის აივნების რკინის თანამედროვე ტიპის მოაჯირებით შეცვლას, საერთო ღირებულებით 750 ათასი ლარი;

ასეთი ოპერატიულობისთვის, ურთიერთთანამშრომლობისთვის მადლობა მინდა ვუთხრა მუნიციპალიტეტის გამგებელს, ყველა სოფლის გამგებლის წარმომადგენლს, ჩვენს მაჟორიტარ დეპუტატებს, საკრებულოს წევრებს და რიგით თანამშრომლებს.

მოგერხსენებათ, რომ საკრებულოსთან მიმდინარე წლის აპრილის თვიდან ფუნქციონირებს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის აღიარების კომისია, რომელმაც ჩაატარა 14 სხდომა. კომისიაში შემოსულია 274 განცხადება, გაცემულია საკუთრების 200 მოწმობა, განუხილვის პროცესშია 64 განცხადება, უარი ეთქვა 4-ს, ხარვეზი

დაუდგინდა 6-ს, ადგილობრივ ბიუჯეტში კომისიის მიერ შემოტანილ იქნა დაახლოებით 83,0ათ. ლარი.

სწორედ, რომ კვალიფიციური და პროფესიონალი საჯარო მოხელეების შერჩევის მიზნით შეიქმნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისია, რომლის თავმჯდომარეც მე გახლავართ. კომისიამ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში კომპეტენტური კადრები შეარჩია. გარწმუნებთ, რომ ჩატარებული კონკურსის შედეგად როგორც საკრებულოს აპარტი, ისე გამგეობის სამსახურები დაკომპლექტდა მაღალკვალიფიციური, პროფესიონალი კადრებით. აპარტის ორგანიზაციულ-ტექნიკურად გამართული მუშაობა პირდაპირ ისახება საკრებულოს გამართულ ფუნქციონირებაზე. ასევე ეს არის დამატებითი სამუშაო კომფორტი, როგორც ჩემთვის, ისე საკრებულოს ნებისმიერი წევრისთვის.

ამ დღეებში დაიწყება 2016 წლის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა ადმინისტრაციულ ერთეულებში. საკრებულოს ინიციატივით, იგეგმება გასვლები ადმინისტრაციულ ერთეულებში, რათა მაქსიმალურად იქნეს საბიუჯეტო პროცესში ჩართული მოსახლეობა და მათი ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება.

საკრებულოს ინიციატივები აღმასრულებელ ხელისუფლებამ სრულად გაიზიარა და 2015 წლის ბიუჯეტში ერთჯერადი სოციალური დახმარების თანხა გაიზარდა, ხოლო 2016 წელს საკრებულოს ახალი ინიციატივა იქნება ის აბიტურიენტები, რომლებიც 100% -იან გრანტს მოიპოვებენ, დაჯილდოვდებიან ერთჯერადად, აღმზრდელი სკოლა კი მიიღებს საჩუქრად 500 ლარს. ეს იქნება დამატებითი სტიმული და მოტივაცია ყველა ახალგაზრდისთვის.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის ორგანიზებით ჩატარდა უამრავი კულტურული ღონისძიება(დაანრთი N2)

2016 წელს კი დაგეგმილია სერიოზული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის და განსაკუთრებით შეჭირვებული ფენისათვის, მარტოხელა დედებისათვის სოციალური ყოფის კიდევ უფრო გაუმჯობესება და რაც მთავარია მომავალი თაობისთვის უკეთესი გარემოს შექმნა.

2016 წელს საკრებულოს **იგეგმება** ინფორმირებისა და თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით საზოგადოებრივი დარბაზის შექმნა, რომლის მიზანია საკრებულოს ჰქონდეს მუდმივი კავშირი საზოგადოების აქტიურ ჯგუფებთან და უზრუნველყოს მოსახლეობის წარმომადგენლების პერმანენტული კავშირი წარმომადგენლობით ორგანოსთან. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მნიშვნელოვანი საკითხი განიხილება დარბაზის წევრებთან ერთად, რის შემდეგაც გავა ბიუროს სხდომაზე და წარედგინება საკრებულოს დასამტკიცებლად. საზოგადოებრივი დარბაზი თვეში ერთხელ შეიკრიბება.

ეს რა თქმა უნდა არ არის საკმარისი, თუმცა მე და სრულიად წარმომადგენლობითი ორგანო, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების ყველა წარმომადგენელი, ყოველთვის მზად ვართ ვიდგეთ მოსახლეობის გვერდით, ამას გვალდებულებს ის მანდატიც, რომელიც ამომრჩევლებმა მოგვანიჭა, ჩვენ ვართ თქვენი ხმა საკრებულოში, ამიტომაც ვალდებულნი ვართ გავამართლოთ ეს ნდობა. აღმასრულებელი ხელისუფლება და საკრებულო ურთიერთთანამშრომლობით, ერთობლივი ძალისხმევითა და საერთო ხედვებით, ცდილობს მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების მოგვარებას, რაც მერწმუნეთ, ძალიან რთულია. თუმცა დარწმუნებული ვარ, მომავალი წელი გაცილებით უკეთესი იქნება ჩვენი მუნიციპალიტეტის თითოეული მოსახლისთვის და მომავალში ჩემს მიერ წარმოდგენილ საკრებულოს მუშაობის შესახებ ანგარიშში, ბევრი მოგვარებული პრობლემა და ხალხის სასიკეთოდ მიღებული გადაწყვეტილება აისახება.

2016 წელს საკრებულოს განკარგულების საფუძველზე **იგეგმება** ინფორმირებისა და თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით საზოგადოებრივი დარბაზის შექმნა, რომლის მიზანია საკრებულოს ჰქონდეს მუდმივი კავშირი საზოგადოების აქტიურ ჯგუფებთან და უზრუნველყოს მოსახლეობის წარმომადგენლების პერმანენტული კავშირი წარმომადგენლობით ორგანოსთან. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მნიშვნელოვანი საკითხი განიხილება დარბაზის წევრებთან ერთად, რის შემდეგაც გავა ბიუროს სხდომაზე და წარედგინება საკრებულოს დასამტკიცებლად. საზოგადოებრივი დარბაზი თვეში ერთხელ შეიკრიბება.

რეგიონალური

1. მიმდინარეობს-ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ონარიის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია (სახურავები, ფასადი, კანალიზაცია, წყალმომარაგება)-173,839,0
2. მიმდინარეობს-ურთის ადმინისტრაციულ ერთეულში , ლეფეტერეს უბანში არსებული ხიდის რეაბილიტაცია-216,337,0
3. მიმდინარე-აბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-
4. მიმდინარე-ყულიშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია;
5. მიმდინარე-ახალკახათის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის მშენებლობა
6. მიმდინარე-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დარჩელის ადმინისტრაციული ერთეულის კეთილმოწყობა-185,175
7. **დასრულებული**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დარჩელი-ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში, ავტომაგისტრალზე ანაკლიამდე გარე განათების მოწყობა-356,969
8. **დასრულებული**-უჩაშონის ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი)-482,000
9. **დასრულებული**-ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულში სასაფლაოსთან მისასვლელი შიდა საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-355,000
10. **დასრულებული**-ტყაიის ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი)-478,400
11. **დასრულებული**-ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია-169,000
12. **დასრულებული**-ურთის ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-415, 441
13. **დასრულებული**-ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულში სასაფლაოსთან მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია85,426
14. **დასრულებული**-ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში საგახარიო-საჯიქიოს უბანში ხიდის რეაბილიტაცია-55, 698
15. **დასრულებული**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ორსანტიის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში იუსტიციის საზოგადოებრივი ცენტრის შენობის ეზოს კეთილმოწყობა-76,000
16. **დასრულებული**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გრიგოლიშის ადმინისტრაციულ ერთეულში საკანკიოს უბანში საავტომობილო ხიდის მოწყობა-46,442
17. **დასრულებული**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გრიგოლიშის ადმინისტრაციულ ერთეულში სახასიოს უბანში წყალმომარაგების ქსელის მოწყობა-41,694

2014 წელი

1. 10 ოქტომბერი-კულტურის ცენტრი „ოდში“-ს საკონცერტო დარბაზის გახსნა;
2. 29 ოქტომბერი-ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის გახსნა;
3. პერმანენტულად იმართებოდა დასუფთავების აქციები ანაკლიაში-განმუხურში;
4. 17 დეკემბერს, იაპონიის საელჩოსა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით სოფელ ხურჩის საბავშვო ბაღი გაიხსნა.
5. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო პერიოდულად აწყო საქველმოქმედო აქციას სახელწოდებით "ქველმოქმედება გადამდებია", რომლის ფარგლებშიც დახმარებას უწევთ სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიან ოჯახებს საკვები პროდუქტისა და პირველად მოხმარების საგნებით
6. ყოველთვიურად სოლიდარობის ფონდში ირიცხება საკრებულოსა და აპარატის თანამშრომლების მიერ გარკვეული თანხა, რაც წელიწადში 1440 ლარს შეადგენს;

2015 წელი

1. 7 იანვარი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო და საკრებულოს აპარატი შეუერთდა საშობაო „ალილოს“. შეგროვილი ძღვენი ზუგდიდში მცხოვრებ, სოციალურად დაუცველ ოჯახებს ობოლ და მზრუნველობამოკლებულ მოქალაქეებს საშობაო საჩუქრები გაუზიარა.
2. 15 თებერვლიდან 18 თებერვლის ჩათვლით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის წარმომადგენლები ლიტვის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ოფიციალური ვიზიტით ქალაქ იონავაში იმყოფებოდნენ. მიწვეულნიყვნენა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი სკულტურის ცენტრ „ოდში“-სთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „ჩელა“.
3. 3 მარტს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ლაშაგოგიამ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარში მცხოვრებ მრავალშვილიან ალიკო მიქავასა და სოფელ ყულიშკარში მცხოვრებ მარტოხელა დედის ხათუნა ჩილაგავას ოჯახებს ესტუმრა და დიასახლის ქალბატონებს დედის დღე მიულოცა, საჩუქრად კი საკრებულოს წევრებისა და აპარატის თანამშრომლების მიერ შემოწირული პროდუქტი და ტკბილეული გადასცა.
4. 29 აპრილს, ქალაქ ზუგდიდის სამხატვრო გალერეაში თემის განვითარების ცენტრი CDC რობერტ ბოშის ფონდის დაფინანსებული და ორგანიზაცია მიტოსტის მიერ ადმინისტრირებული პროექტის „ღია სახლი“ ფარგლებში სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლების ფესტივალი გაიმართა;
5. 26 მაისი -საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებთან და აპარატის თანამშრომლებთან ერთად ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას და პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ხსოვნას პატივი მიაგეს და მათი ძეგლები გვირგვინით შეამკეს.
6. 1 ივნისს ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კომბინატში კულტურის ცენტრ "ოდში"-ს მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო სხვადასხვა სახის გასართობი ღონისძიებები. დღის განმავლობაში უფასო ატრაქციონებით, ტკბილეულით, ფერადი ბუმბუტებითა და საჩუქრებით ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები გაუმასპინძლდნენ ბავშვებს;

7. 15 ივნისი-სტიქიით დაზარალებული ოჯახების დასახმარებლად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამეგეობამ და საკრებულომ ერთობლივად თანხაშ ეაგროვა. ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის შეიძინა პირველადი მოხმარების ყველა საჭირო ნივთი : ტელევიზორები, მაცივრები, სამზარეულოს ელექტრომოწყობილობები, ჭურჭელი, სკამები, მაგიდები, საბნები, ბალიშები და პლედეები .
8. 30 ივნისს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამეგეობის დარბაზში, ფესტივალ „არტკოლხის“ მონაწილეების ოფიციალური მიღება და დაჯილდოება გაიმართა.
9. 1 ივლისი-ოლიმპიური ცეცხლი ზუგდიდში
10. 3 ივლისს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამეგეობის სააქტო დარბაზში, სამეგრელოს რეგიონის მასშტაბით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის პირველმა მოადგილემ გრიგოლ გიორგაძემ, სამინისტროს თანამშრომლებთან, ა/ო საქმელმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთის“ და ა/ო მიგრაციის, ინტერგრაციისა და განვითარების საერთაშორისო გაერთიანების (MIDE) წარმომადგენლებთან ერთად შეხვედრა გამართა;
11. 4 ივლისს „WesternDrivers Club - სამეგრელოს“ ორგანიზებით ინგირის აეროპორტის ტერიტორიაზე მასშტაბური სპორტული ღონისძიება - მოტო და ავტომოყვარულების რეგიონული შეჯიბრი გაიმართა;
12. 5 ივლისს, ანაკლიაში ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის პროგრამა „მომავლის ბანაკი“ საზეიმოდ გაიხსნა. ბანაკი საზეიმოდ გახსნეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილიმა ;
13. 5 ივლისი-ოლიმპიური ცეცხლი ანაკლიაში!
14. 13 ივლისი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ორსანტიაში, საოკუპაციო ხაზთან ახლოს, რიგით ოცდამეოთხე საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნა.
15. 17-დან 20 ივლისის ჩათვლით, საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით, ქალაქ ზუგდიდის სპორტულ დარბაზში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ძალოსნობაში 20 წლამდელთა შორის, სადაც მონაწილეობას იღებდა აქართველოს სხვადასხვა ქალაქის წარმომადგენლები ..საკრებულოს თავმჯდომარემ ლაშა გოგიამ გამარჯვებულებს სპეციალურად დაწესებული თასები, მედლები და დიპლომები გადასცა.
16. 22 ივლისს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამეგეობის სააქტო დარბაზში პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე დეტალურად ისაუბრეს ბიზნეს იდეის კონკურსზე, რომელიც საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე მეწარმეობის განვითარებას გულისხმობს.
17. 27 ივლისი-სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ლევან შონიამ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი მიშველაძემ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ედიშერ თოლორაიასმ საზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლაშა გოგიამ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას სახელმწიფო პროგრამა - „თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერის გზით“ გააცნეს.

18. 28 ივლისი-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში, 42 დევნილთა ოჯახი საცხოვრებელი ფართის მფლობელი გახდა.
19. ივლისს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ლაშა გოგიამ ლიტვის რესპუბლიკის, ქალაქ იონავას დელეგაცია მიიღო.
20. 28 აგვისტოს, მარიამობას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეტაში გრანდიოზული მარულა ჩატარდა;
21. 29 აგვისტოს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელში საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ, სახელწმიფო პროგრამის ფარგლებში აშენებული თხილის საწარმო გახსნა;
22. 13 ოქტომბერი-ზუგდიდში საქართველოს პარლამენტის ვიცე სპიკერმა ზვიად ძიძიგურმა და პარლამენტის წევრმა გიგა ბუკიამ საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანაზე იმსჯელეს.
შეხვედრის ძირითადი თემა გახლდათ საქართველოში საარჩევნო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით მოსალოდნელი ცვლილებები.
23. 26 ოქტომბერი-პოლონურმა საერთაშორისო ჰოლდინგმა, „ტინეს კაპირალ ჯგუფმა“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კოკში 3 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია ჩადო გაიხსნა ბეტონის ქარხანა;